# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამ ნომერში ათი გვერდია

ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"
გამართავს
მუშტაიდის ბაღში
ლატარია-ალეგრის
თავის ღონისძიებათა განსაძლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში.

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია
ტფილისში
მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობაძღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფერით ჩამოარჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წერანოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—11)



„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის" კანტორა აუწყებს თავის წევრთა, რომ 17 მაისს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება „ამხანაგობისა" სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში კანტორის მოქმედებისა.

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი.

3) მორიგ საქმეთა განხილვა. (3—1)



ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს ამხანაგობის წევრთ, რომელთაც 1891 წლის 1 დეკემბრამდე აქვთ გადახდილი სრულის პაის ფული, რომ მდგომარე წლის თიბათვის 15 რიცხვიდგან ამხანაგობის კანტორაში შეუძლიანთ მიიღონ წარსული ხვედრი მოგება (დივიდენდი). (3—0—3)


ტფილისი, 7 მაისი

საქართველოში, როგორც აღწერა გვიჩვენებს, 300,000 კომლი მაინც მოსახლეობს. უმეტესობამ მარტო ქართული ენა იცის. საინტერესოა კაცმა შეიტყოს, რას კითხულობენ ის ქართველნი, რომელთაც მარტო ქართული წერა-კითხვა იციან. უწინ თავად-აზნაურიშვილთ სახლობაში საკითხავი წიგნები იყო: სახარება, დაუჯდომელი, დავითნი, ვეფხის-ტყაოსანი, ყარამანიანი, დავითიანი და სხვ. ეხლა დრომ ფერი იცვალა: კაცის ჭკუა-გონებამ მეტი საზრდო და ცოდნა მოინდომა, წიგნის კითხვა დიდ საჭიროებად გადიქცა.

ჩვენში დღითი-დღე მრავლდება სხვა-და-სხვა საკითხავი წიგნი, მაგრამ ბევრმა ქართველმა არც-კი იცის იმათი არსებობა. დარწმუნებული ვართ, რომ გაჩნდნენ ჩვენში სოფელ-სოფელ მოსიარულე წიგნების გამყიდველნი, ბევრს სიკეთეს მოუტანენ მკვიდრ ქართველთ, მიყრუებულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებში მცხოვრებთ. მართალია, ამისთანა საკეთილო საქმეს ფართო გზა არ ექმნება, ყველა ოჯახობა წიგნებს არ იყიდის, მაგრამ ზოგიერთი ოჯახობა-კი უსათუოდ შეიძენს. ნაყიდს წიგნებს სხვა ოჯახობაც წაიკითხავს. შინაარსი წიგნისა დაჰბადავს წიგნის კითხვის ხალისს და იმის შოვნის სურვილს. ხალხი კითხვით გაერთობა; ლოთობას, კარ-და-კარ მაწანწალობას, ჩხუბსა და დავას ცოტად თუ ბევრად აშორდება; წიგნებიდგან ბევრ ახალს ცოდნას, ახალს აზრსა და სხვათა გამოცდილებას შეიძენს მკითხველი. კითხვა და წიგნი ისეთსავე საჭიროებად გადაიქცევა, როგორც ჭამა-სმა. მაშინ გაჩნდება ახალი ცხოვრება ჭკუა-გონების გამჭრიახობისა, მეცადინეობისა და ვარჯიშობისა. ყველა განათლებულს ქვეყანაში ასე დაწყებულა საქმე და დიდი ნაყოფიც გამოუტანია.

კარ-და-კარ მავალნი წიგნთ-ვაჭარნი რუსეთშიაც არიან. ბევრი იმათგანი შორის გზით ჩვენც გვეწვევიან ხოლმე. ჩვენშიაც სასარგებლო იქმნებოდა, რომ წიგნთ-ვაჭართ ამხანაგობა შემდგარიყო. ამხანაგობამ ამ საქმეს გონივრულად, შორ-მხედველობით უნდა მოჰკიდოს ხელი, წიგნები ცოდნით ამოარჩიოს, დრო-გამოშვებით ამხანაგობამ ცხენოსანი წიგნთ-ვაჭარნი უნდა დაატაროს დაბა-სოფლად და ამით გაავრცელოს ხალხში ჭკუა-გონების საზრდო. მაშინ გაზეთები, ჟურნალები და სხვა სასარგებლო წიგნები ხალხში გავრცელდება: შესაძლოა წიგნთ-ვაჭრებმა მეფოსტე-ფოსტალიონობაც იკისრონ: მიიღონ სოფელ და სოფელ სხვა-და-სხვათაგან წერილები გასაგზავნად. იმათვე შეუძლიანთ ჰყიდონ კანვერტები, ქაღალდი, კალმები, რვეულები, ყარანდაშები, მელანი და სხ.; გადასცენ წერილები ფოსტაში, ან პირდაპირ იმათ, რომელთ სახელობაზედაც იგი დაწერილია; ფოსტიდგან მიიღონ წერილები ჟურნალ-გაზეთები და დაურიგონ თავის დროზედ სოფელ და სოფელ თავიანთ პატრონებს.

ვინ იტყვის, რომ ეს საქმე კარგი და სასარგებლო არ იყოს, მაგრამ სადა გვაქვს ჩვენ ამისთანა საქმისათვის დრო! ჩვენ ვცდილობთ მარტო იმას, რომ ერთი-ერთმანეთი შევჭამოთ, ერთმანეთის სისხლი ვსვათ და მალე ბოლო მოვუღოთ. ამ სენმა ძველი ქართველობა ამოიჭამა და ჩვენს ქვეყანასაც დიდი ზარალი მისცა. ჩვენც ლამის ამ სნეულებამ გაგვასწოროს მიწასთან. არა გვაქვს ერთობა, ერთად საქმის კეთების სურვილი და უნარი, თითქოს გზა და კვალი დაგვიკარგავს და არ ვიცით, როგორ და რა გზით ვეწიოთ წუთი-სოფელს. დრო მოითხოვს, რომ ყველამ ვიშრომოთ ერთის გრძნობით, ძმურად და სიყვარულით ჩვენის სამშობლო ქვეყნისათვის, დავუახლოვდეთ ერთმანეთს სწავლით, ზრდილობით; მოვაწყოთ ყოველისფრით ჩვენი ცხოვრება, გულით მოვეკიდნეთ ჩვენს მამულებს, ბინა არ მოვიშალოთ და მივცეთ ჩვენს მოზარდს თაობას—ამ იმედსა და ნუგეშს ქვეყნისას ის სწავლა, რომელიც განაკარგებს და ააყვავებს ჩვენს ეხლანდელს ცხოვრებას სულიერად და ნივთიერად.

საკვირველია ჩვენი ბედი! ათასი მტერი გვყავდა, ათასი გვემუქრებოდა, ათასს უნდოდა ჩვენი ამოწყვეტა, ჩვენი გათახსირება, მაგრამ ვერავინ ვერ შესძლო და ყველას ამაოდ ჩაუარა ქადილმა. იმდენი ძალა და ღონე გამოვიჩინეთ, რომ, ასე თუ ისე, გადავარჩინეთ თავი წაწყმედას, დღემდე მოვაღწევინეთ ჩვენს მშობელს ქვეყანას, დედა-ენას, სამშობლო მწიგნობრობას, სარწმუნოებას. დღეს ერთად-ერთი ჩვენი მტერი უმეცრებაა. ეს მტერი დიდად ძლიერი და საშიშია, მაგრამ სამაგიეროდ ერთად-ერთია. თუ ყველანი შევებრძოლებით, შევებრძოლებით თავგამეტებით და მხნედ, ამასაც ისე გავფანტავთ, ისე დავძლევთ, როგორც ათასი სხვა მტერი დაუძლევია ჩვენს მამა-პაპას ძველად. დრო ისეთი დადგა, რომ ახლა ისე ძნელი აღარ არის ბრძოლა მტერთან, როგორც წინად იყო. პირველი იარაღი და მჭრელი მა-

## ფელეტონი

### ნაზი ლეგენდა

(კატულა მენდესასი)

#### I

##### ყოველისავე სახელი

ერთხელ, როდესაც ვტიროდი,—ეს იყო ვილლ დ'ავრეს ტბასთან, დალონებულ ტირიფის ტოტებს ქვეშ—გამვლელმა მკითხა:

— გამიგონე, აცრემლიანებულო კაცო... მითხარ ერთი, რა მწუხარება გალონებსო?

— ჩემს მწუხარებას-მეთქი, ვუპასუხე: მადელენა ჰქვიან.

გამვლელმა დაცინვითა სთქვა:

— უცნაური მწუხარება გქონიათ! არასოდეს არ გამიგონია მაგის მგზავსი რამ. ღალატი კიდევ ჰო, ვერაგობა, დაუნდობლობა,—მაგრამ ეგ-კი არა მსმენია, რომ ისეთი მწუხარებაც იყოს, რომელსაც მადელენა ჰქვიან.

— ვაგლახმე, ბატონო ჩემო, ჩემთვის იმედ-გაცრუებული სიყვარულიც, სიცრუით სავსე აღთქმაც, დაუნდობელი ღალატიცა და უიმედო, ფუჭი ოცნებანიც,—ყოველივე ეს მადელენაა!

**

ერთხელ, როდესაც ვიცინოდი,—ეს იყო კუნძულს კრუაზიზედ, ათას ფეროვან ყვავილების ფარდულს ქვეშე—გამვლელმა ქალმა მკითხა:

— გამიგონე, მოკისკისე ადამიანო... მითხარ ერთი, რა გახარებს და გასიამოვნებსო?

—ჩემს სიხარულს მადელენა ჰქვიან-მეთქი.

ქალმა დაცინვითა სთქვა:

— რა სისულელესა სჩმახავ! სადა თქმულა და სად გაგონილა მაგისთანა სიხარული! კოცნა-ამბორი კიდევ ჰო, სახელი, დიდება, იმედი, ყოველისავე დავიწყების ნეტარება,—მაგრამ ის-კი არა მგონია, რომ ისეთი სიხარულიც იყოს, რომელსაც მადელენა ჰქვიან.

— ახ, ქალბატონო-მეთქი, ვუპასუხე: ჩემთვის მარჯნის მგზავს ბაგეთა სურნელოვანებაც, ძლიერსა ზედა გამარჯვებაც, თავს ბრუს დამხვევი სინაზეცა და ღვთაებრივი სიტკბოებაც დავიწყებისა,—ყოველივე ეს მადელენაა.

**

ერთხელ, როდესაც ვიწვოდი,—ეს იყო ჯოჯოხეთის კოცონის ერთს მხარეს, გახურებულს ტაფაზედ—ტარტაროზმა მკითხა:

— გამიგონე, დამწვარ-დადაგულო ცოდვილო... მითხარ ერთი, რა წამება გიღადრის გულ-გვამს?

— ჩემს წამებას-მეთქი, ვუპასუხე: მადელენა ჰქვიან.

ტარტაროზმა მხრები შეიშმუშნა:

— რა დამთხვეულობაა! ფიქრადაც არ გამივლია, თუ მაგისთანა წამებაც არის! წამოდუღებულ ზეთით სავსე ქვაბები კიდევ ჰო, მთლად გახურებულ-გაპრიალებული ორთითი, რკინის მარჩობელა-საყელური, გოგირდი და სამთა-მადნო შხამისავე ზეთი,—მაგრამ მაგას-კი ვერ დავიჯერებ, რომ ისეთი წამებაც იყოს, რომელსაც მადელენა ჰქვიან!

— ვაიც ეგ არის-მეთქი, ტარტაროზო, ვუპასუხე: ჩემთვის რაცა სწვავს, რაცა სჩხვლეტს და ჰგვემს, რაც არჩობს და ანადგურებს,—ყოველივე ეს მადელენაა.

**

ერთხელ, როდესაც ალტაცებაში ვიყავი,—ეს იყო სამეუფო, საუცხოო სამოთხეში, ღალიჭის მეოთხე საფეხურზედ—ერთმა სერაფიმთაგანმა მკითხა:

— გამიგონე, ალტაცებაში მოსულო რჩეულო... მითხარ ერთი, რა გაგრძნობინებს ალტაცებას?

— ჩემს ალტაცებას მადელენა ჰქვიან-მეთქი, ვუპასუხე.

სერაფიმმა წყალობა-სიბრალულ ნარევის დაცინვითა სთქვა:

— ეგ რაღაცა მოგიგონიათ, სწორედ იმისი ღირსია, ვინც ოდესღაც ადამიანი იყო! ზეცად მაგისთანა ალტა-

ხვილი მის გულის გასაპობად წიგნია, წიგნით ჭკუა-გონების წარმატებაა.

ლ.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, 9 მაისს, წმ. ნიკოლოოზობის დღეობას მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი სწირავს ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოოზის ეკლესიაში.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი მაისის დამლევამდე დარჩება პეტერბურგში.

*** ჩვენი კორესპონდენტი, ეჩმიაძინის არჩევანებზედ დასასწრებლად გაგზავნილი, დეპეშით გვთხოვს, რომ შეცდომა გაასწორეთ, ეპისკოპოსი ხრიმიანი ერთ-ხმად იქმნა ამორჩეული კათოლიკოსადაო.

*** თიბათვის ნახევარს ტფილისში მოელიან ბუხარას ემირს, რომელიც პეტერპურგში მიემგზავრება. ემირს დიდი ამალა ახლდება თან, სხვათა შორის „კუშ-ბეგი“ (დიდი ვეზირი), „დივანბეგი“ (საბჭოს თავმჯდომარე), „შეგაული“ (სახლთ-უხუცესი), სამი გუბერნატორი და სხვა სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ სალატარიოდ კიდევ შესწირეს:

მარია ზაქარიას ასულმა გაბაშვილისამ—ორი სამარილე ვერცხლისა, ერთი ქამარი ვერცხლისა, ორი საფერფლე, ერთი ბადია, ერთი ბოდნოსი და ერთი დასაკეცი კარგი დანა;

კნ. ნინო გრიგოლის ასულმა დიასამიძისამ—ყაჯდანი;

უცნობმა—ორი ვაზა, ორი საფერფლე და სხვა ნივთები, სულ 7 ნაჭერი;

თამარ სოლომონის ასულმა ქართველიშვილისამ—22 ნაჭერი სხვა-და-სხვა ნივთი;

კნ. სოფიო ვასილის ასულმა ამირაჯიბისამ—ერთი მარაო, ორი ვაზა, ორი საფერფლე და ორი ტუალეტის იარაღი, მშვენიერი ხელოვნების ლიტრა, ფინჯანლამბაქი, საშაქრე, სარძევე, სამი საფერფლე, საგაჩნიცე, სასუხრე და სხვ.

ივანე ალექსანდრეს ძემ მირიმანოვმა—ხუთი მანაშკა და სამი ყელსახვევი;

გულასპოვმა—საპუდრე და ტიკინი;

ისაკ ზაალის ძემ ბედინიძემ—3 აბრეშუმის მოსახვევი;

ნიკოლოოზ იოვანეს ძე აბულოვმა, 1—დუჟინი ხელთათმანი;

გიორგი ოს. ჯორჯაძემ—10 არშინი მატულის საკაბე ქიშმირი;

ილო ელისოვმა—1 დუჟინი ხელსახოცი;

იაგორ მაისურაძემ—1 დუჟინი ხელსახოცი;

არტემ უუთლევმა—1 დუჟინი ხელსახოცი;

გიორგი უაჯარდუზოვმა—1 სტოლის სუფრა;

კოლა ჯუმუსაძემ—1 განვით ნაკერი პერანგი;

ვასილ დორთაძოვმა—4 თავსაკრავი;

გიორგი ნიკ. შათიროვმა—15 არშ. მატულის რიფსის საკაბე;

დ. თეთრაძემ—ერთის თუმნის სხვა-და-სხვა ნივთი;

დიმიტრი კასტანგის ძემ თულაშვილმა—სურათები;

ელისაბედ ლუკას ასულმა მაღრაძემ—ტუფლები და ქისა.

*** ამის წინად ავლაბრის საქალაქო საძოვარში ახნაზაროვისა და ფარსადანოვის საქონელს თურქული გამოაჩნდა. პოლიციამ საქონლის პატრონებს ოქმი შეუყენა, რადგანაც არ გამოაცხადეს და არც ღონისძიება მიიღეს ამ სენის მოსასპობლად. ეს საქმე მეოთხე განყოფილების მომრიგებელმა-მოსამართლემ გაარჩია და ახნაზაროვსა და ფარსადანოვს გადაუწყვიტა 25 მანეთი ჯარიმა, ანუ ხუთის დღით დაპატიმრება.

*** გუშინ-წინ ვერის თავდაღმართზედ შემდეგი ამბავი მოხდა: ვერის ხიდზედ ჩამოდიოდა ცხენის რკინის გზის ვაგონი, ხალხით სავსე. წვიმის შემდეგ რელსები დალიპული იყო და ვაგონი დიდის სიჩქარით მოსრიალებდა. შიგ მსხდომთ შეეშინდათ და დაიწყეს ვაგონიდგან გადმოხტომა. ვაგონი ძლივს ხიდზედ გააჩერეს. ვინც გადახტა ვაგონიდგან, იმათში ზოგი დაშავდა: ერთ ქალს თავი გაუტყდა, ოთხმა კაცმა ხელ-ფეხი იღრძო და სხ. დაშავებულნი პოლიციამ ზოგი სამკურნალოში და ზოგიც სახლში გაჰგზავნა ეტლით.

*** ტფილისის დედათა ინსტიტუტის საბჭო აცხადებს, რომ ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები დაინიშნულია 22 მაისს, დილის 9 საათიდგან. მისაღები ეგზამენები იქნება აგრეთვე ენკენისთვეშიაც, სწავლის დაწყების წინად.

*** სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა, რომ 1893 წელს სამხედრო ბეგარას მაგიერად აფხაზებმა ფულად გაიღონ ხარჯი.

*** ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ნება დართულ იქმნა გამართვა დედათა საეპარქიო სასწავლებლისა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სახელობაზედ იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების ხარჯით. აი შტატიც იმ სასწავლებლისა:

შტატი იმერეთის საეპარქიო გაბიელის დედათა სასწავლებლისა.

| | |
|---|---|
| სასწავლებლის უფროსს ქალს (იგივეა აღმზრდელი მესამე კლასის მოწაფე ქალებისა) სახელმწიფო ბინით | 500 მ. |
| 2 აღმზრდელ ქალთ სახელმწიფო ბინით (თითოეულს 180 მან. წელიწადში) | 360 „ |
| ერთს ამ უკანასკნელთაგანს წიგნთ-საცავის მართვისათვის | 25 „ |
| მოსამზადებელის კლასის მასწავლებელს ყველა საგნის სწავლებისათვის *) | 400 „ |
| სჯულის მასწავლებელს | 350 „ |
| იმასვე ინსპექტორის თანამდებობის აღსრულებისათვის | 150 „ |
| რუსულის ენისა და მეტყველების მასწავლებელს | 350 „ |
| ქართულის ენის მასწავლებელს | 350 „ |
| არითმეტიკის მასწავლებელს | 350 „ |
| გეოგრაფიისას | 170 „ |
| სამოქალაქო ისტორიისას | 210 „ |
| ფიზიკის მასწავლებელს | 70 „ |
| პედაგოგიკისას | 35 „ |
| მასწავლებელთ { წერისას | 120 „ |
| მასწავლებელთ { ƀ გალობისას | 120 „ |
| საქმის მწარმოებელს | 100 „ |
| ეკონომს | 150 „ |
| სასწავლებლის სახლის შესაკეთებლად, გასათბობად, გასანათებლად, წყალისა და მოსამსახურეთათვის | 650 „ |
| კანცელარიის ხარჯი | 50 „ |
| წვრილმან ƀ მოულოდნელ ხარჯისათვის | 50 „ |
| სულ | 4665 „ |

*) შტატის თითო გაკვეთილზედ საზოგადოდ დაწესებულია 35 მანეთი.

შენიშვნა: 1) აღნიშნულ საგნებს გარდა მოსწავლე ქალები ვალდებულნი არიან ისწავლონ კლასს გარეშე ქრა, კერვა, ქსოვა და საზოგადოდ შინაური ხელსაქმე, აგრეთვე მეოჯახობა. ამ საგნების სწავლებისათვის მასწავლებელს ენიშნება სასყიდელი ადგილობრივ ეპარქიის უფროსისაგან, სასწავლებლის საბჭოს მოხსენების შემდეგ;

2) მოსწავლე ქალები სცხოვრობენ ან საზოგადო ბინაში, რომელიც აღშენებულ იქმნება თითონ სასწავლებლებში, ან მშობლებთან, ან კეთილსაიმედო ოჯახებში, რომელთაც იცნობენ მშობლები;

3) საზოგადო ბინებში საცხოვრებლად მიიღებიან, სასწავლებლის რჩევის მიხედვით: ა) 5 ფრიად ღარიბი ობოლი ქალი ღარიბ მღვდელ-მოსამსახურეთა გადაუხდევინებლად ფულისა ხარჯისა და სწავლისათვის; ბ) 5 ობოლი ქალი სამღვდელო-საეკლესიო მოსამსახურეთა, რომელთაგან თითოეულმა უნდა შემოიტანოს წელიწადში 50 მ., სხვა ქალებმა ადგილობრივ ეპარქიის სამღვდელო-საეკლესიო მოსამსახურეთა უნდა შემოიტანონ სრულის ხარჯისათვის 120 მ., ხოლო ნახევარ ხარჯისათვის—80 მანეთი; მოსწავლე ქალებმა სხვა წოდებათა და სხვა ეპარქიის უწყებისათ, აგრეთვე ადგილობრივ სასულიერო კაცთა, რომელნიც არ იმყოფებიან საეპარქიო სამსახურში—სრულის ხარჯისათვის 150 მან. წელიწადში, ხოლო ნახევარ ხარჯისათვის 100 მან.

4) სწავლისათვის ყველა კლასში დაწესებულია წელიწადში 30 მან. ყველა სავალდებულო საგანზედ. ეს გადასახადი ფული უნდა გადაჰხდეთ მარტო მოსიარულე მოსწავლე ქალებს—საერო წოდებისას და სხვა ეპარქიის უწყებისათა აგრეთვე ადგილობრივ ეპარქიის სასულიერო კაცთა, რომელნიც არ იმყოფებიან საეპარქიო სამსახურში; ეს გადასახადი ფული შემოტანილ უნდა იქმნას სექტემბერს და მარტს ყოველ წლობით და უკანვე არავის არ ეძლევა.

5) სხვაფრივ სასწავლებელი უნდა იქმნას წარმოებული თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის საეპარქიო სასწავლებელთა წესდებისა.

*** სოფ. სანება (კავკავის მაზრა): სანებაში და მის ახლო-მახლო სოფლებში ყელჭირვება და ყივანა ხვევლა არის გავრცელებული და დიდს ძლიერ ზარალს აძლევს ყმაწვილებს.

*** სოფ. დალაგუავა (კავკავის მაზრა): გაზაფხულდა თუ არა, იჩინა თავი დალაგუავის მთაში ყაჩაღობამ. წარსულ კვირას ტყეში ყოფნის დროს შეეფეთნენ ყაჩაღებს რამდენიმე კაცი დალაგუაველები. დალაგუაველებმა რომ შეამჩნიეს, ყაჩაღები არიანო, ერთმა, გვარად ბირტიევმა, ესროლა ყაჩაღებს თოფი და ააცდინა. სამაგიეროდ, ერთმა ყაჩაღთაგანმა ესროლა ƀ მოარტყა მოპირდაპირე ბირტიევს მარჯვენა ფერდში. მორჩენა დაჭრილისა სათუოა. ყაჩაღები ქისტები ყოფილიყვნენ. ამას წინად სოფ. დალაგუავშევის მცხოვრებმა ერთმა ოსმა ხვნის დროს ძირტკბილას მაგიერად რაღაც ბალახის ძირი შეჭამა და იმავ დღესვე გარდაიცვალა.

*** თელავი: ორშაბათს, 27 აპრილს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ამ ოთხი-ხუთის თთვის განმავლობაში პირველად მოხდა საპედაგოგიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მასწავ. ბ-ნი სტეფანოვი. კრებამ გადასწყვიტა, რომ ეგზამენები დაიწყოს 5 მაისს და დასრულდეს 22 ამ თთვესვე. აქტი იქნება 24 მაისს. სასურველია ვიცოდეთ, რამ აიძულა კრება, რომ ასე ადრე უნდათ დათხოვნა შეგირდებისა ზემოხსენებულს სასწავლებელში.

*** ახალციხე: 29 აპრილს ჩვენს ქალაქში დიდი ოროტრიალი იყო. საღამო ჟამზედ დაიქექა ცამ, წამოვიდა საშინელი სხვილი წვიმა, რომელსაც ზედ სეტყვა დაერთო. მოსკდა თქეში და ნიაღვარს არე-მარე თან მოჰქონდა. იმ უბნებიდგან, საცა ებრაელობა და სომხობა დგას, თქეშს მოჰქონდა აუარებელი ნაგავი და სიბინძურე, რომელიც წყალმა ფაფასავით აზელილ ტლაპოდ და ტალახად გადააქცია. ეს ტალახი ჩამოვიდა ქვეით უბნებში, დაბლობ ალაგას, და გზა და გზა ზოგს ეზოში შეუვარდა, ზოგს სახლში. ასტყდა წივილ-კივილი, ჟრიამული და ერთი ვაიუშველებელი. სიკვდილით არავინ დაზარალებულა, მაგრამ შიში-კი ბევრმა ჰამა. კარგია კიდევ, რომ წვიმამ მალე გადიღო, თორემ შესაძლებელი იყო ღამის სიბნელეში ბევრს გული

---

ცება არასოდეს ყოფილა. ვარსკვლავთა ვაზის ღვინო კიდევ ჰო, ცის მანანა, ციური მუსიკა, თვით ღმერთი!... მაგრამ მე-კი ვამტკიცებ, არ მოიპოვება ისეთი ალტაცება, რომელსაც მადლენა ჰქვიან.

— ახ, საოცარო სერაფიმო-მეთქი, ვუპასუხე: ჩემთვის ცის მანანაც, ვარსკვლავთა ვაზის ღვინოც, ციური მუსიკაცა და ერთად-ერთი ღმერთიც,—ყოველივე ეს მადლენაა!

II

დაბრუნებული წყალობა

გლახაკი შემხვდა და მოწყალება მთხოვა; მივეცი ის მცირე ოქრო, რაც-კი ჯიბეში გამაჩნდა. შემხვდა სულელი, რომელიც დიდების მოპოვებას იყო მოწადინებული; მივეცი ჩემი ოცნებანი, ჩემი სულიერი ალლო, ჩემი ნიჭი ახალის, ხმოვანის რითმების მოძებნისა. შემხვდა სარდალი, რომელიც საბრძოლველად მიეშურებოდა; მივეცი გეგმა ბრძოლისა, რომლის წყალობითაც მტერი დაამარცხა და სძლია. შემხვდა მეგაზეთე, რომელმაც არ იცოდა, რა დაეწერა გაზეთის მახლობელ ნომრისათვის; მივეცი ყოველივე ის ამბავი, რაც-კი შევქმენ-შევთხზე საუზმის დროს, როდესაც გაზეთის გამყიდველები გაზეთის სახელებს გაჰკიოდნენ ქუჩებში. შემხვდა მხდალი, სადუელოდ მიმავალი; მივეცი ჩემი შეუმდრკალი მამაცობა, სისწრაფე მიტევისა და თავს-დაცემის დროს და სიმარჯვე მოტევებულის მოგერებისა. შემხვდა ურწმუნო და ღვთის უარის-მყოფელი; მივეცი ჩემი სარწმუნოება ღმერთების მიმართ, რომელთა შორის სამარადისოდ განმტკიცებულია გონება ადამიანისა. შემხვდა საბრალო მილიონების პატრონი, რომლის გულსაც სიყვარული არასოდეს არ ეგრძნო, თუმცა ქვეყნად ისეთი ქალი არ მოიპოვება, რომ იმას არ დაჰყვეს და არ დაჰნებდეს; მივეცი სინაზე, რომლითაც სავსე იყო ჩემი გული.

მაშინ-კი, ყველაფერს მოკლებული, მადლენასთან წავედი. ჩემის ასეთის ქველ-მოქმედების ჯილდოდ, მადლენამ ნება დამრთო იმის ბაგეს დავკონებოდი და ამ მარჯნის მგზავს სურნელოვან ბაგეთა ზედა დაკონებით ერთი ასად დავიბრუნე ყოველივე ჩემი საუნჯე: სიმდიდრეც, ნიჭიც, ჭკუაც, ძლიერებაც, სარწმუნოებაცა და სიყვარულიც!

III

სულელი კაცის-მკვლელი

ერთმა კაცის-მკვლელმა ჩაქუჩით საფეთქელში ლურსმანი ჩამირჭო, მაგრამ არ მოვკვდი.

— ერთის ბეწო რკინის თავში შერჭმა რა ბედენაა-მეთქი! ვუთხარ: თუ ჩემი სიკვდილი გინდა, სხვა რამ იარაღი იხმარე.

— დამაცა! დამაცაო! დამემუქრა.

წავიდა. დაბრუნდა. ხელში უშველებელი და მძიმე რკინის ბერკეტი ეჭირა, სწორედ ისეთი, რომლისთანაც ხარს ჰხოცავენ ხოლმე. ეს ბერკეტი ხუთჯერ დამთხლიშა კეფაში.

მაგრამ არ მოვკვდი.

— დიდი რამ არის შენი ბერკეტი-მეთქი! ვუთხარ: დიდად სტყუვდები, თუ გგონია, რომ აგრე ადვილად ჩავაბარებ ღმერთს სულს. თუ ჩემი სიკვდილი გინდა, გირჩევ, უფრო სხვა, უფრო საუკეთესო ღონისძიება იხმარო.

— დამაცა! დამაცაო! დამემუქრა.

წავიდა. დაბრუნდა. ცხვირ-წინ დამიდგა სასუნთქებლად შხამით სავსე შუშა, რომელიც თავისის სუნით ყველა საწამლავზედ მეტად სწამლავდა.

მაგრამ არ მოვკვდი.

— რა სულელი ხარ-მეთქი! ვუთხარი: ნუ თუ გგონია, რომ რაღაც დაშხამული ჰაერი ჩემის სიცოცხლის მოსპობას შეიძლებს? გაალმასებული დანა რომ გეხმარა, ყუმბარით აგეფეთქებინე, ან გველის გესლი მოგემარჯვებინა, მაშინაც ვერას დამაკლებდი, ვერ გამანადგურებდი, ისე სავსე ვარ სიცოცხლით. სხვა რამ ბოროტება მოიგონე.

— დამაცა! დამაცაო! კვლავ დამემუქრა.

მაგრამ ადგილიდგან-კი აღარ იძროდა. ვეღარაფერი მოეგონებინა და სახე დიდად შეშფოთებული ჰქონდა.

შემეცოდა.

— ახ! საბრალო კაცის-მკვლელო-მეთქი, ვუთხარ: მეტი ღონე არ არის, მე უნდა გასწავლო შენი ხელობა. აქ მოიყვანე ჩემი მადლენა. დეე ისე გაიაროს, რომ არ გამიცინოს, ან სხვას გაუღიმოს ვისმე... და მაშინვე ბოლო მომეღება, მაშინვე სულს დავლევ.

ორ-ანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლოდა, ბევრი ერთმანეთს მიჰხლოდა და ბევრიც წუთი-სოფელს გამოჰსალმებოდა.

*** გრაკალი: 5 მაისს, საღამოს 11 საათსა და 10 წამზედ, გრაკლის სადგურს ახლო ვიღაც ბოროტ-განმზრახველს შეშის ერთი ღერი დაედო რკინის გზის ლიანდაგზედ. მატარებელი ნელა მოდიოდა და ამის გამო უბედურება არა მომხდარა-რა. ეჭვი ერთს რკინის გზის სამსახურიდგან დათხოვნილს მეისრეზედ, რაჟდენ ჯავახიშვილზედ, მიუტანიათ.

*** კასპი: რკინის გზის კასპის სადგურის უფროსის თანაშემწეს ცოლმა ალფეროვისამ 6 მაისს შეცდომით ქინაქინას მაგიერად სტრიხნინი დალია და რამდენსამე წუთს შემდეგ გარდაიცვალა.

*** სადგოლი: 6 მაისს რკინის-გზის ლიანდაგზედ მე-362 ვერსზედ იმდენი კალია მოგროვილიყო, რომ მატარებელი № 52 გაჩერდა. როცა ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი დაიძრა, რამდენიმე ვაგონი მოსწყდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** ფოთი: 4 მაისს ფოთის სადგურის ბუფეტში კანდუქტორმა როსტომ ჩაჩავამ სამზარეულოს დანით ზურგში დასჭრა ბუფეტის მოსამსახურე ბიჭი, გრიგოლ ქავთარაძე. დამნაშავე შეიპყრეს.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს დეპეშით სწერენ ეჩმიაძინიდგან: საარჩევანო კრებამ მთავარ-მართებელისათვის წარსადგენად არჩეულ კანდიდატების სიისა აირჩია შემახიის მთავარ-ეპისკოპოსი ჰესროპი და საერო დელეგატები: შუშისა — ათაბეგოვი და ბრუსსისა—იონესიანი. არჩევანების შემდეგ მონასტერში გაიმართა საერთო სადილი. მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა. კათალიკოსის მოადგილემ, ეპისკოპოსმა იერემიამ წარმოსთქვა პირველი სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, რომლის მფარველობითა ᲓᲐ წყალობით არჩევანები ასე მშვიდობიანად გათავდაო. პასუხად ამისა ტაინი სოვეტნიკმა პრიბილმა წარმოსთქვა სადღეგრძელო სომეხთა ეკკლესიისა. შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელოები: ხონთქრისა, შაჰისა, წმ. ეჩმიაძინისა, ამორჩეულის კანდიდატებისა: ხრიმიანისა ორჯელ და იზმირლიანისა, კათალიკოსის მოადგილე იერემიასი, ეპისკოპოს არისტაკესისა, მთავარ-მართებელისა, ტაინი სოვეტნიკის პრიბილისა, სინოდის პროკურორის ყანჩელისა და მრავალთა სხვათა. სადილს შემდეგ დიდძალმა ხალხმა ოვაციები გაუმართა სხვა-და-სხვათ და განსაკუთრებით ეპისკოპოსებს იერემიასა და არისტაკესს და ტფილისელ დელეგატს არწრუნის, რომელიც ხელითაც ასწიეს. საღამოზედ ტაძარი გიჩირაღდნებული იყო. ეჩმიაძინის საარჩევნო კრების თავმჯდომარემ, ეპისკოპოსმა იერემიამ, საერთო სურვილისამებრ, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მთავარ-ეპისკოპოსს იერუსალიმისას ხრიმიანს: „ეჩმიაძინის საარჩევანო კრებამ ერთ-ხმად აღირჩია თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა კანდიდატად კათოლიკოსის ტახტისა. ვიმედოვნებთ რა ხილვას თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისას წმ. გრიგოლის ტახტზედ, მხურვალედ ვევედრებით ღმერთს თქვენის ძვირფასის სიცოცხლისათვის“.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“ სწერენ: 6 მაისს ახალ-სენაკში კინაღამ უბედურება არ დატრიალდა. როცა ფოთიდგან ახალ-სენაკში მატარებელი მოვიდა, მეორე კლასის ვაგონში შევიდა ერთი კარგად შეზარხოშებული კაცი, სარდიონ პ—ა. ამ კაცს ერთ ხელში არყით სავსე ბოთლი ეჭირა და მეორეში ჭიქა. დადგა ვაგონის კარებთან და ყველას უბრძანებდა, „არაყი დალიეო“. ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გვარად ჯორჯიკიამ, უარი უთხრა არყის დალევაზედ. შეზარხოშებულმა კაცმა ეს იწყინა და ჯორჯიკიას შიგ თავში ესროლა ბოთლი, მერე ხანჯალი ამოიძრო და ეცა მოსაკლავად. ჯორჯიკია არ შეკრთა და ერთი ხელი ხანჯლის ტარს მოავლო, მეორე—პირსა და ამ გვარად გადარჩა სიკვდილს, მხოლოდ სუმბუქად ხელი დაეჭრა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი დაიძრა და მთვრალი კაციც ვაგონიდგან გადმოხტა.

*** გაზეთ „Нов. Время“-ს შეუტყვია, რომ კახეთში რკინის გზის გაყვანის საქმე ამ დღეებში გადაწყდებაო.

## მთავრობის განკარგულებანი.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივანი, ოდესის უნივერსიტეტში სწავლადამთავრებული სტუდენტი მოსიძე რაჭის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწედ იქმნა დანიშნული.

ჯვანშირის მეორე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწე აბულაძე გადაყვანილ იქმნა ქალაქ შუშაში მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწედვე.

ახალქალაქის მეორე ხარისხის ტყის უფროსი კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი ბებუთაშვილი დანიშნულ იქმნა კავკასის 1 ხარისხის ტყის უფროსად.

## ქართული თეატრი ქუთაისში.

და-ძმა, დრამა 5 მოქმ. სამეგრელოს წარსულ ცხოვრებიდგან, ორიგინალური თხზ. ვ. გუნიასი.

კვირას, 3 მაისს, ტფილისის ქართულმა სათეატრო დასმა წარმოადგინა გუნიას დრამა „და-ძმა“. პიესამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად ჩაიარა მეორე მოქმედებამ, ხოლო განსაკუთრებით სულ ტად—მეხუთემ, რომელიც მოგვაგონებს მელოდრამატიულ პიესას და რომელიც უფრო კომედიას ჰგავს, ვიდრე დრამის ნაწყვეტს.

რაც შეეხება მოთამაშეთ, თითქმის ყველანი უნაკლულოდ ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

ქ-ნმა ავალოვისამ საკმაოდ კარგად აასრულა მარინეს როლი. მშვენიერი იყო უკანასკნელს მოქმედებაში, როცა ოტია ჯოლია ჰკლავს იმას.

ბ-ნი ყიფიანი ოტია ჯოლიას როლს მეტად მშვენივრად ასრულებდა. იმისი მიხვრა-მოხვრა, იმისი სახის მეტყველება ატკბობდა მაყურებელთ. ყველაფერი შეხამებული და შეფერებული იყო იმის თამაშობაში. „და-ძმა“-ში ბ-ნი ყიფიანი წარმოადგენდა ნამდვილს მეგრელს წარსულის დროისას.

ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი ჩვეულებისამებრ უნაკლულოდ ასრულებდა გაიოზ ფალავას როლს.

უკანასკნელს მოქმედებაში, როცა გაიოზ ფალავა თავის მოკლულს დას დაინახავს და გულ-მოსული ჰკლავს ხანჯლით ოტია ჯოლიას, ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი საუცხოვო იყო.

ბ-ნი გამყრელიძეც საკმაოდ კარგად ასრულებდა ოსმალთა სპასალარის, ფარად-ფაშის როლს.

დანარჩენზედ, გუნიას გარდა, ვერას ვიტყვით, რადგან ყველანი შეუმჩნეველ როლებს ასრულებდნენ. ბ-ნი ვ. გუნია-კი, ავტორი „და-ძმისა“, ბევრჯელ გამოიწვია საზოგადოებამ და დააჯილდოვა ტაშისკვრით და დაფნის გვირგვინით ნიშნად მის მიერ დაწერილ პიესის მოწონებისა.

საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ დაესწრო ამ წარმოდგენას, სთხოვა ქ-ნ მ. მ. საფაროვისას „და-ძმის“ განმეორება.

იგივე დასი ამ მოკლე ხანში აპირებს დ. ერისთავის „სამშობლოს“ წარმოდგენას.

მ. ბოლ – აძე

## მთავარ-ეპისკოპოსნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811)

### კათალიკოსნი

**სამოელ** 780—795. ამის ჟამს (786 წ. 6 იანვარს პარასკევ დღეს) ეწამა წმ. აბო ტფილელი. იხ. ვახ. ისტ. 121 გვ. შენიშ. ბაქრ. და ისტორია საქ. ბაქრაძისა 208 გვ. ამ სამოელის ბრძანებით აღწერა ცხოვრება და მოწამეობა წმ. აბოსი მღვდელმა იოანე საბანისძემ. აჰა თვით ბრძანება კათალიკოზის სამოელისა, რომელსაც წინ უძღვის: „თვესა იანვარსა .ზ. წამებაჲ წმ. მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა ქალაქსა ტფილის კელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“. „მე სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი იოანეს საბანის ძესა სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისასა და საყუარელსა ჩვენსა ლოცვით უფლისა მიერ გიკითხავ. მშვიდობაჲ იყავნ შენზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ. ჩვენ თვით უწყით წადიერებაჲ ღმთისმსახურებისათვის და ღმთივ მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთა წიგნთაჲ და გულს მოდგინებაჲ შენი, კეთილთა საქმეთა მოღვაწეობაჲ შენი. შენ თვით უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა ამათ ჩვენთა იმარტვილა მეოხად ქრისტეს მიმართ ყოვლისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათვის; მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობაჲ, ვითარცა პირველთაჲ მათ ქრისტეს მოწამეთა, და დიიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა. ამისთვისცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი კელითა ხსართან მღუდელისა ჩემისათა; აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩუენი და ჯუარისა დაწერაჲ კელითა ჩემითა და შეწევნითა ღმთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდისა ღმთის-მშობელისათა და წმიდათა მოციქულთათა და მოწამეთაჲთა, —კელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი, და აღწერე მარტვილობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩვენ მოგვიძღუანე, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის. მადლი უფლისა იყავნ შენზედა. ამინ.“

„საკითხავი პასუხი წიგნისაჲ იოანეს მიერ. მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმთივ პატიოსანისა მამფლისაჲ*) და უფლისა ჩემისა კელითა სიწმიდის მოყუარისა სანთან მღუდელისაჲთა, რომლისათვისცა აპყრობითა კელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ქველის მოქმედისა ქრისტეს ღმთისა ჩვენისა, რომელმან არა დავიწყებულ ყო სიმდაბლე ესე ჩემი ღმთის შეწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა შენთა, რომელსა ესე ღირს ვიქმენ მიმთხუევად. და უფროს-ღა ვაქებ და ვაკურთხევ მოწყალებასა ღმთისასა, რომელმან დაჰნერგა გულსა მამფლისასა ესე ვითარისა ამისთვის ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ კორცთა მექმნების საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას. აწ რაჲ მოვახსენო უფლებასა თქუენსა? მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკეთუ ურჩ ვექმენ ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს—„შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვის: „უდარესსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონება ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან; არამედ ემჯობესად შევჰრაცხე მორჩილყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა. რომელითა კვალად განვძლიერდი და აღვემართე ღმთისა სათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქვენითა და მარადის ძლუნის მიმპყრობელისა ღმთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა ჩემ უღირსსა ზედა, და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთ მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, ვთარმედ „ჰბაძევდა ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავსი მისა, ვითარცა იგი მან თვისსა უდიდესსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა უყვის გულს მოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარიღის საზრდელად თვისა...“ მეცა გულს მოდგინე ვიქმნე უძლიერესსა ჩემსა აღებად და წადიერებაჲ გულისაჲ ჩემისაჲ აღავსო უფალმან და აღვწერე უღირსისა გონებისა ჩემისა შეკრებული მარტვილობაჲ ჭეშმარიტი და უტყუველი წმ. მოწამისა, მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰაბოჲსითა, და მიგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომლისათვის კვალად ვითხოვ ვედრებით—სათნო ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტეს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რათა ზიარ ლოცვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა უღირსება ჩემი“.*)

პ. ცხვილოელი

*) სიტყვა მამფალი (მამფლობელი, ანუ მმფლობელი) VIII—X საუკუნეებში მიეთვისებათ დამოუკიდებელ მეფეთა ქართლისათა, აგრეთვე მცხეთის კათალიკოზსაცა. მათი დამოკიდებული მოხელე, მათგანვე რაჲსამე „ფლობად დადგინებული“, უწოდებდა თავის „ფლობად დამდგენს“ მამფლად. მამფალი შემდეგ საუკუნეებში თავის ადგილს და მნიშვნელობას უთმობს სიტყვას „პატრონი“.

*) ესე წერილები დაცულია „სვანურ მანუსკრიპტში“, რომელიც 1848 წ. სვანეთიდგან ჩამოიტანეს ბროსსეს ჩვენებით და ექსარხოსის ისიდორეს ბრძანებით და ეხლა ეკუთვნის „საეკლესიო მუზეუმს“.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** სასტუმრო ვერი რომ ააფეთქეს ანარხისტებმა, იმ დროს ერთი ასოთ-ამწყობი, გვარად გამონო, დაიჭრა და შემდეგ ჭრილობისა გამო კიდეც გარდაიცვალა. პარიჟის ქალაქის საბჭომ თავისის ხარჯით დაასაფლავა გამონო „Pere-La chaise“-ს სასაფლაოზედ. დასაფლავების დროს თავმჯდომარემ საბჭოსამ შემდეგა სიტყვა წარმოსთქვა:

„თავისის ხარჯით რომ ჰმარხავს გამონოს საბჭო, ამითი თავისს წყრომას აცხადებს იმ აფეთქებათა გამო, რომელიც პარიჟსა და საფრანგეთის ზოგს სხვა ქალაქშიაც მოახდინეს ანარხისტებმა.

„გამონოს არავითარიმე მონაწილეობა არ მიუღია იმ კაცის შეპყრობაში, რომელიც იკვეხიდა, მე, ერთმა კაცმა, შიშის ზარი დავეცი მთელს პარიჟსაო, და აი, მიუხედავად ამისა, გამონო ეხლა უსულო გვამი-ღაა, მოკლებული სიცოცხლესა და თავისიანებს.

„დედა მწარედ დასტირის; საბრალოს ეგონა სიბერის ჟამს შვილი შემინახავსო, მაგრამ ამისი გონება და მწუხარება როდი ენაღვლებათ იმ ავაზაკებს, რომლებმაც ვერის სასტუმრო ააფეთქეს! იმათ უნდოდათ ნაფიც მსაჯულების დაშინება და საწყალი ასოთ-ამწყობი-კი შეიქმნა მათი მსხვერპლი. ეს ამბავი აშკარად ჰმოწმობს, თუ რის ჩადენა შეუძლიანთ ავაზაკებს, რომელნიც თაავიანთს თავს მსაჯულებად ჰხადიან. რამდენიმე საზარელი ბოროტება უკვე ჩაიდინეს. შეიძლება კიდეცა სცადონ სისხლის დაღვრა, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს ვერ გახდებიან. იმათს ბრძოლას დიდი სიმხდალე ეტყობა და ჩვენს დიდაღ პატიოსანსა და გამბედავს ხალხს ზიზღსა ჰგვრის. შიშიანობა მხოლოდ გადაგვარებულს ერს მოახრევინებს ხოლმე ქედს. უპირველეს ყოვლისა ჩვენი ფრანგი ქალები გაუმკლავდებიან მხდალს კაცებს, თუ ისინი თავის მოქალაქობრივ მოვალეობათა აღსრულების დროს მცირედაც არის შედრკებიან ამ საზარელ ბოროტებათა შესახებს საქმეში.

„რავაშოლი და იმისი მომხრენი მარტონი არიან და მემკვიდრეები აღარ დარჩებათ, რომ მათი საქმე განაგრძონ. ასეთი საერთო წყრომა საზოგადოებისა, მათ მიერ ჩადენილ ბოროტებათა გამო გამოწვეული, ჰმოწმობს, რომ ის ავაზაკნი განცალკევებით თითონ ჰმოქმედებენ, ხოლო ჩვენს დროში მარტო-ხელს კაცს იმდენადაც ვერ შესწევს ძალა, რომ ბოროტება ჩაიდინოს. იმათ მხოლოდ მკვლელობა და სხვა ავაზაკობა შეუძლიანთ, რომლის გამოც

ნაფიც მსაჯულთა მიერ უნდა იქმნენ გასამართლებულნი. აი თვით გამონის სიკვდილიც სამწუხარო მაგალითი და საბუთია ამისი. საბჭომ საჭიროდ სცნა, რომ დავიწყებას არ მისცეს ეს ამბავი.

„აი ამ, ჯერ მიწა მიუყრელს, საფლავთან ვბედავ და მივმართავ თქვენს გამბედაობასა და გმირობას.

„შეიგენით და დარწმუნდით, ბატონებო, რომ საპოლიტიკო დასთან-კი არა გვაქვს საქმე, არამედ ავაზაკთა ბრბოსთან. მის მოსასპობლად საკმარისია პოლიციის მიერ ფხიზლად ყურის გდება და ყოლა ისეთის აგენტებისა, რომელთაც იმ ავაზაკთა დევნის მეტი სხვა საქმე არა უნდა ჰქონდეთ-რა.

„მაშ ვეცადნეთ, რომ ტვირთი შევუმსუბუქოთ უმცროს მოყვასთ, დავაკმაყოფილოთ კანონიერი მოთხოვნილობანი მუშათა და განვსმჭვალოთ იგინი მშვიდობიანობის სურვილით.

„განსაკუთრებით საჭიროა, რომ ჩვენი მოვალეობა კარგად შევასრულოთ ყველამ და მალე მოვუღებთ ბოლოს იმ ავაზაკთა ბრბოს, რომელმაც წყრომა და ზიზღი მოჰგვარა ყოველ დასის წარმომადგენელს.

„მე აქ იმიტომ ვარ მოსული, რომ პარიჟის საქალაქო საბჭოს სახელით პატივი ვცე წყნარსა და მშვიდობიანს მუშაკს გამონოს, რომელიც საზარელის სიკვდილისა გამო გამოესალმა ამ წუთი-სოფელსა და თავისიანებს. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, გამონო!“

---

## დეპეშა

6 მაისი

**პეტერბურგი**. დღეს გამოცხადებულ ცნობათაგან სჩანს, რომ 17 დამშეულს გუბერნიაში სულ სათესლედ და საკვებად ხალხისა გაცემულა 125.220,500 მანათი: სათადარიგო სურსათიდგან დახარჯულა აპრილში 4.882,000 ფუთი და ამ ჟამად კიდევ არის 15.756,000 ფუთი: სათესლე გაცემულა აპრილში 11.864,000 ფუთი და არის კიდევ 11.970,000 ფუთი.

7 მაისი

**პეტერბურგი**. გუშინ, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს, გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში ლიტურგიის გადახდის შემდეგ გაიმართა სუფრა 200 კაცისათვის; მიულოცეს: ყაზახის ჯართა დეპუტაციებმა, აფიცრებმა ატამანის პოლკისამ და მასწავლებლებმა ცესარევიჩისამ.

„Новости“-ს გაუგონია, ამზადებენ ნორმალურს დებულებას სასოფლო მწერლების შესახებ იმ აზრით, რომ ხსენებულს თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნენ ხოლმე კეთილ-საიმედო და სწავლა მიღებული კაცნი, და კანონებს სასოფლო სამართლისას სამაგიეროდ 1889 წ. 12 ივლისს შემოღებულ დროებით კანონებსა.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, კომისიას ადგენენ კერძო კაცთათვის სესხის გაადვილების მოსახერხებლადო.

„Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა რამდენიმე კანონ-პროექტი ებრაელთა საქმის შესახები, რომელიც მინისტრის ამხანაგის პლევეს თავმჯდომარეობით კომისიამ შეიმუშავა.

იგივე გაზეთი იუწყება, განზრახვა აქვთ მოსპონ ხედერები და სამღვდელოები და მათ მაგიერ დააარსონ მთავრობის სკოლები, სადაც ებრაელთა სჯული, ძველი ებრაული ენა და საღმრთო წერილი უნდა ასწავლონ არა მელამედებმა და ვეგელფერებმა, არამედ იმათზე უფრო განათლებულმა კაცებმა, რომელთა საზედამხედველოდ მუდმივი ინსპექცია იქნება დაწესებული.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,56 | 7,58 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 238 1/4 |
| —მეორისა | — „ | — „ | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი | — „ | 195 | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 101 1/2 | 102 | 101 7/8 |
| 5% | — „ | 99 1/4 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 101 1/2 | 102 | — „ |
| 5% | 99 1/2 | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

---

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—46)


---

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 12 და 13 ივნისს ამა 1892 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საეროზო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი ბანკის გრძელ-ვადიანთა სესხთამებრ შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთზედ მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი. სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამა წლის 12—13 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ის საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 27 ივნისს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა სავადო შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის და აგრეთვე მამულის სავაჭროდ დანიშვნის ყოველ სხვა ხარჯითურთ ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქნება 12 ივნისს, სოფლის მამულებისა 13 ივნისს. *)

#### ძველის კატეგორიისა: ა) ქალაქის მამულები.

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე. ერთი-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ფლიგელით და სამოსამსახურეოთი, მიწისა და ეზოს ზომა 324 1/2 ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფ. ელისაბედის ქუჩაზედ და უსახელოზედ. თავნი ვალი 3,743 მ. 43 კ., შემ. გარ. 176 მ. 11 კ., სულ 3,919 მ. 54 კ.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაგორის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფ. მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,402 მ. 15 კ., შემ. გარ. 364 მ. 63 კ., სულ 3,766 მ. 78 კ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი, სხვა შენობით, ეზოთი და მიწით, ზომით 166 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფ. მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ხევის ქუჩაზე. თავნი ვალი 3402 მ. 12 კ., შემ. გარ. 305 მ. 18 კ., სულ 3,707 მ. 30 კ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით 518 ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. ბაგრატიონის ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,169 მ. 36 კ., შემ. გარ. 278 მ. 68 კ., სულ 3448 მ. 4 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარის მოწყობილებით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟ. და სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2,465 მ. 8 კ., შემ. გარ. 195 მ. 33 კ., სულ 2,660 მ. 41 კ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი, ყოვლის კუთვნილებით, ბაღით და რიგის წყლით, მიწა ზომით 3 დეს. და 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, 2 გან. ყოფილებაში. კრწანისში თავნი ვალი 1,874 მ. 84 კ., შემ. გარ. 153 მ. 73 კ., სულ 2,028 მ. 57 კ.

ტერ-შმოვანოვი ნიკოლოოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყველა მოწყობილობით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება. მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. მოლინისა და ბებუთოვის ქუჩაზე № 21. თავნი ვალი 6102 მ. 16 კ., შემ. გარ. 412 მ. 48 კ., სულ 6514 მ. 64 კ.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით სიგრძით 50 საჟ. და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 508 მ. 56 კ., შემ. გარ. 73 მ. 56 კ., სულ 582 მ. 12 კ.

ჩოლოყაევი, ნიკოლოოზ ზაალის ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 871 მ. 89 კ., შემოს. გარდ. 95 მ. 26 კ., სულ 967 მ. 15 კაპ.

#### ბ) სოფლის მამულები

ხიმშიევები: ნინო, მარიამ გიორგის ძე და ასული და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დეს. და 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ანთნის-ხევში. თავნი ვალი 3,965 მ. 14 კ., შემ. გარ. 185 მ. 89 კ., სულ 4,151 მ. 3 კ.

ბარათოვი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოსტნე ადგილები ზომით 177 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ზემო-ოძისში. თავნი ვალი 3,964 მ. 59 კ., შემ. გარ. 209 მ. 84 კ., სულ 4174 მ. 43 კ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ქისტაურში. თავნი ვალი 8,984 მ. 10 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ. 9,348 მ. 88 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავი და სამოსახლო ადგილები, შენობებით და ვენახით, მიწა ზომით 151 დეს. და 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 7982 მ. 57 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ 8347 მ. 35 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დეს. და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2,677 მ. 98 კ., შემ. გარ. 159 მ. 71 კ., სულ 2837 მ. 69 კ.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა, მარიამ ალექსანდრეს ასული: სახნავი და სასახლკარო მიწები, ზომით 33 დეს. და 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში. თავნი ვალი 1,347 მ. 33 კ., შემ. გარ. 129 მ. 58 კ., სულ 1,476 მ. 91 კ.

ქობულოვები: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8,982 მ. 27 კ., შემ. გარ. 370 მ. 27 კ., სულ 9352 მ. 54 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დეს. და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, ტფ. და გორის მაზრაში, სოფ. ახალქალაქს, მუხაურს და სათარხნოში. თავნი ვალი 6,286 მ. 96 კ., შემ. გარ. 274 მ. 75 კ., სულ 6561 მ. 71 კ.

---

*) ამ ნომრის მე-9 გვერდზედ, სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებათა მე-3 სვეტზედ, ზემოდგან მესამე გვარში (მამული მარ. მაღალაშვილისა) შეცდომით საერთო ვალის რიცხვად აღნიშნულია 1289 მან. 15 კაპ., უნდა იყოს 12089 მ. 15 კაპ.